პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

EU4Youth IV: ახალგაზრდობის ჩართულობა და გაძლიერება

განხორციელების ვადა: 01.04.2023 - 31.05.2026

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 5 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 5 621 438

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

GIZ

პროექტის ვებსაიტები: euneighbourseast.eu/topics/youth/

პროექტის აღწერა:

ახალგაზრდების ჩართულობა და გაძლიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძლიერი, მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების შენებაში. ახალგაზრდებს, როგორც ცვლილების კატალიზატორებს, უდიდესი წვლილი შეაქვთ ევროკავშირი-აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) საერთო დღის წესრიგის რეალიზებაში.

ახალგაზრდების გაძლიერების ხელშეწყობა EU4Youth პროგრამის კომპონენტის, EU4Youth IV ფაზის ძირითადი მამოძრავებელია, რომლის ფოკუსს „ახალგაზრდობის ჩართულობა და გაძლიერება“ წარმოადგენს.

პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას პოლიტიკის დიალოგსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში. ის ითვალისწინებს ახალგაზრდული სექტორის ძირითადი აქტორების შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერას აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში. იგი ასევე ხელს უწყობს სახელმწიფო და კერძო აქტორებსა და ევროკავშირის შესაბამის ორგანიზაციებს შორის კავშირების ჩამოყალიბებას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას.

მოსალოდნელი შედეგები:

1. ახალგაზრდული საბჭოებისა და ორგანიზაციების გაძლიერებული შესაძლებლობები აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში.
2. ახალგაზრდების ეფექტური მონაწილეობის მზარდი პრაქტიკა პოლიტიკის შემუშავების პროცესში.
3. ახალგაზრდული პროექტების შემუშავებისა და განხორციელების გაუმჯობესებული ხარისხი და ეფექტიანობა.
4. ახალგაზრდა ორგანიზაციების საპილოტე პროექტების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის სუბნაციონალურ დონეზე, სამი მიმართულებით: კლიმატის ცვლილება, ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ჩართულობა და თითოეული ქვეყნის სპეციფიკურ კონტექსტზე მორგებული თემატიკა.
5. კავშირების, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა, როგორც რეგიონალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.